ბრძანება:**ბ41. 4123065001**

თარიღი:**06/03/2023**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2023 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2023 წლის გეგმა – საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა, დანართის შესაბამისად.
2. საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (HR) უზრუნველყოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2023 წლის გეგმის ასახვა საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eHRMS).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი